

მშობენ

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე ასევე მეორეზე პეტრის სტრიქონი—2 მან. —სამწოდლოდ განცხადება 40 მანეთი. შესატყვის განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ორგანო

ღრმად დამწუხრებულნი: კვირები სალომე ავალიანისა, იოსელიანის ასული, შვილები: მღ. გერონტი, ევგენი, რძალი ანეტა, ქალიშვილები: პელაგია, ოლინკა, თეკლე, ვასასი, ევგენია, სიძეები ამბაკო გოგოძე, ვაგისო ყენია, ლუკა ლალიაშვილი, ილიკო ახვლედიანი, ძმის შვილები: ასლან, ერმილე, არკადი, სერაპიონ, იპოლიტე, ავალიანები და შვილი შვილები. ამით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ 12 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის დაუფიქსარი

დავანოვი ლუკა თეოდოსი ავალიანი

დაკრძალვა მოხდება 16 აგვისტოს დღით შაბათს ნაშუადღევს 3 საათზე სოფელ ციხე სურორში ქედის წმინდა გიორგის ეკლესიაზე.

ღრმად დამწუხრებულნი: ბაბილინა ქაიხოსროს ასული თენიეშვილისა, ელენა ივანეს ასული და მოსე ზაალის ძე თალაკვაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

სიმონ ქაიხოსროს ძე ჯაქალიძე

ტრალაკულად გარდაცვალებას პირველი ძმის და დანარჩენი ბიძის პანაშვიდი გადახდით იქნება ქ. ოზურგეთში სობორში კვირას 17 აგვისტოს წირვის შემდეგ.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პელაგია, მამა კობეტა, ძმები გრიგოლ და მიტროფანე დევიძეები მეუღლებით, და დები ეკატერინე ლეჟავას და ნილოსი ხვიჩიასი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას 17 აგვისტოს ს. დიდი-ჯიხაში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდით იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუფიქსარი ტრალაკულად დაღუპულ

ილარიონ პოხტას ძე დავითის

სულის მოსახსენებლად.

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი ნოე, რძალი გაიანე და პატარა შვილიშვილები: აკაკი, ნონა და გივი დევიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას 17 აგვისტოს ს. დიდი-ჯიხაში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდით იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუფიქსარი

ალათი გუჯას ასულის დავითის

სულის მოსახსენებლად.

გარტველოვის ორგანიზაციის

ჩვენი ქვეყანა პატარაა, როგორც ტერიტორიის-სივრცით, ისე მცხოვრებთა რაოდენობით. მართვა-გამგეობის აპარატი კი ჩვენ სამკვიდროთ მივიღეთ რუსეთის უზარ-მაზარი იმპერიისაგან, რომლის ნაწილსაც ჩვენ შევადგენდით. მართალია, მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველო წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც ჰქონდა თავისი საკუთარი წყობილება, მაგრამ იგი მოიშალა ჩვენში რუსეთის მართველობის დამკვიდრებიდან და გარდა ამისა სრულყოფილ გამოუსადეგარი იქნებოდა იგი დღევანდელ პირობებში.

თითონ რუსეთი ასი წლის განმავლობაში სასტიკ ზოპებს ხმარობდა, რათა ყოველივე თავისებურება აღმოეფხვრა და უბრალო ერობაც კი არ აღიარა ჩვენს ქვეყანას. ამის გამო თავიშპყრობელობის დაგრევის მთელი მართველობის აპარატის მოშლა მოყვა და მხოლოდ ჩვენი ხალხის განვითარებამ და პარტიულ ორგანიზაციების სიძლიერემ იხსნა ჩვენი ქვეყანა ანარქიისაგან და მისცა მას შედარებითი მყუდროება.

მაგრამ უცვლელი არა არის რა და რევოლუციის პირველ დღეებში დამყარებული გარემოებაც შეიცვალა.

ჯერ ერთი ის, რომ რევოლუციის პირველ ხანებში არსებულის ნგრევის ერთობ საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი, რადგან რევოლუციონერების ბატონობის შემდეგ ძალიან ბევრი რამ იყო დასანგრევი. მეორეც ის, რომ პირველ ხანებში ძლიერ იყო რევოლუციური აღფრთოვანება, რის გამოც წესრიგი ნება-ყოფლობით, ამხანაგობით სრულდებოდა. თანაც ჩვენი პარტია არჩეულ, თავდადებულ პარტიებს კრებულს წარმოადგენდა. დღეს ყველაფერი ეს შეცვლილია: რევოლუციური აღფრთოვანება მინელა, აქტიური ანარქიული მიდრეკილებებმა იჩინა თავი,

რასაც ძლიერ შეუწყო ხელი ფრონტიდან დაძრულმა გაბალანდებულმა ჯარმა და უადგილოდ დარჩენილმა ჩინოვნიკობამ. ცხოვრება აირ-დაირია. ბნელი ელემენტების ასალაგმავად საჭირო იყო ძალა, ორგანიზაციულად მოწყობილი რეპრესიები, რისთვისაც უძლეო აღმოჩნდა პარტიული და რევოლუციური ორგანიზაციები, რომელნიც უფრო გავლენით და შთაგონებით მოქმედებდნენ, ვინემ მოწყობილი იმუღებთი ორგანიზაციის. გარდა ამისა, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც აღნიშნულმა გარემოებამ ქვეყნის მართვის რიგში ჩააყენა, მოაწყო ბევრი ისეთი ხალხი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა არა თუ მარქსიზმის პროგრამასა და სოციალიზმის პრაქტიკასთან, არამედ უბრალო მოქალაქეობასთანაც კი. ამგვარად შეიქმნა მეორე მექვიდრეობა. დასაძლევნი გახდა მეორე ბოროტება.

საქართველომ შექმნა ჯერ პარლამენტი, შემდეგ კი ყოველად სრული საარჩევნო სისტემით დამუშუდებული კრება, რომელმაც შეადგინა პასუხის მგებელი სამინისტრო. ადგილობრივ ყველგან მოწყობილია დემოკრატიული საფუძველზე და დემოკრატიული კანონით არჩეული ერობა, რომელიც ორგანო არა მარტო ადგილობრივ თვითმართველობის, არამედ მართველობისაც. ერობის განკარგულებით ეწყობა და მასვე ემორჩილება ადგილობრივი ადმინისტრაცია.

ასეთ პირობებში საჭირო იყო ერთგვარი იერარქიის უმცროს-უფროსობის შემოღება, ქვემდებარეობის დამყარება და მისი სასტიკი გატარება ცხოვრებაში.

მაგრამ სამწუხაროთ ამ მხრით ყველა დაბრკოლებები ძლეული არაა. მოხელე ჯერ კიდევ არ ემორჩილება თავის კანონიერ უფროსს და მბრძანებელს; ის უწინარეს ყოვლისა პარტიის კაცია, რომელიმე კავშირის წევრია და როგორც ასეთი, ის პასუხს აგებს თავის ორგანიზაციის წინაშე. ასეა ყველგან: ფოსტაში და ტელეგრაფში, რკინის გზაზე და

რეღეფონზე, ერობაში და ქალაქის თვითმართველობაში. ფოსტის მოხელე უპირატესობას აძლევს იმ კავშირის ნება-სურვილებს, რომლის წევრიც თითონ არის და არა ოლქის უფროსის ბრძანებებს, ერობის ექიმი მეტ ანგერიშს უწევს ექიმთა საპროფესიო კავშირის და არა ერობას. თვით ერობაში ესა თუ ის ხმოსანი ან გამგეობის წევრი ყურადღებას აქცევს არა ერობის დადგენილებას, არამედ თავის პარტიული ჯგუფის ეინიანობას. რკინის გზაზე მოხელე უწინ კავშირისაკენ გაიხედავს, სანამ უფროსის ბრძანებას დაემორჩილებოდეს. სოფლის კომისარი, თუ ის იმავე დროს სოც.დემ. კოლექტივის წევრია, ადმინისტრაციის არც ერთ ბრძანებას არ ასრულებს, თუ ეს კოლექტივის ზოგიერთ წევრებთანავე სასურველი არ იქნება. მაგალითები-საბჭოს მოვიხსენებთ ზოგიერთ ფაქტებს: „სახალხო საქმე“ თავის მფარველობის ქვეშ იყო ფოსტის მოხელეთა კავშირის გაგვება, რადგან იქ ფედერალისტები სხედან და გამგეობის უკანონო პრეტენზიებს უტერს მხარს ოლქის უფროსის სამართლიან და კანონიერ ბრძანების წინააღმდეგ. გორში ექიმები ებრძვიან ერობის განკარგულებას ვიწრო ჯგუფური მიზნით, სიღნაღის ერობის გამგეობის წევრი ს. დ. კრაწაშვილი მხარს უტერს ყრილობის მიერ გაშვებულ მოსამართლეს და ეს უკანასკნელი ადგილზე რჩება (იხ. გუშინდელი ნომერი „სახ. ფურცლ.“). სოფ. ასკანის კომისარი არ ასრულებს მთავრობის განკარგულებას სოც.დემ. კოლექტივის დავალებით და ბევრი სხვ. თითონ ის უწესოება და უკანონობა, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში აღნიშნული (თევზაძის და ძამანაშვილის ინციდენტი) ნაყოფია საქმის „ამხანაგურათ“ წარმოებისა რკინის გზაზე, თქვენ შენიშნავდით უწყსოებას, მაგრამ მისი გამორკვევა რკინის გზის რომელიმე ორგანიზაციისათვის უნდა მიგენდოთ; ორგანიზაცია კი საქმეს დიდ ხანს ვერ გამოიძიებდა და შეუარსებულ პირს ყოველივე ხალხის ეკარგებოდა საჩივრის დაწყების.

რევოლუციის პირველ თვეების ამ ნაშთს ბოლო უნდა მოეღოს. არც ერთი პარტიული კომიტეტი არც ერთი რევოლუციონერი ორგანიზაცია არ უნდა ერგოდეს მართვა-გამგეობის საქმეში. ამ ორგანიზაციებისათვის, როგორც ყველა მოქალაქისათვის, ყველგან გახ.ნილია სამოქმედო გზა: მათ შეუძლიათ უწყსოების მხილება პრესაში, შეუძლიანთ საჩივრის აღძრა მთავრობაში, პეტრიციით მიმართვა დამფუძნებელ კრებაში, პროპაგანდა-აგიტაციის გაწევა ხალხში. ვინც ამ წრეს გადასცდება, ის სასტიკათ უნდა იქნას დასჯილი. მხოლოდ ამ გზით მოიპოვება ბევრი ისეთი უწყსოება, რომლის მოსპობა ადვილია და რომელიც დიდათ მავნებელია საზოგადოებისათვის.

ჩვენ ვაფასებთ რევოლუციურ ორგანიზაციების, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტების მოღვაწეობას სახელმწიფოს წინაშე. უმთავრობობის თვალუწვდენელ უდაბნოში ეს ორგანიზაციები ერთად ერთი წესიერების დამკველი ძალა იყო. მაგრამ ეს იყო მაშინ. დღეს ჩვენი უკვე მოწყობილია ადმინისტრაციული აპარატი, ყველას თავის საქმე აქვს მიჩნეული და ეს თავისი საქმე უნდა აქეთოს.

პარტიის ეკუთვნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხალხის, პროპაგანდა-აგიტაციის გაწევა, გონებრივი და ზნეობრივი გაყვლის მოხდენა; მთავრობის და მისი ორგანიზაციების ხელშია აღმასრულებელი ძალა, მისი საქმეა ქვეყნის მართვა, ტენიკური ფუნქციების ასრულება.

პრესა

„ნორ აშხატავორი“ (165) ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ერთობა“ ებრძვის არა თუ დაშნაველებს, არამედ—სომეხ მშრომელ ხალხს. „კლემანსოს დეპეშის გამო ატეხილი განგაში ქართულ პრესის მიერ ოსმალეთის შემოტევის დროს სხვა არა არის, თუ არ შე

მოსევა სომეხ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ.

„ერთი კითხვა უნდა დაუსვათ ერთობელებს: რა არის დაშნაკუტუნი და რას ნიშნავს ბრძოლა მის წინააღმდეგ?

„სომხეთის პარლამენტის არჩევნებმა ცხადია დამტკიცეს, რომ დაშნაკუტუნი მიჰყვება სომეხი მასის 90 პროცენტი. ამ პირობებში სომეხი მშრომელი ხალხის და დაშნაკუტუნი განსხვავდება ნიშნავს ან სიყაბლის ჩადენას, ან შეგნებით თვალის დახუჭვას ფაქტების წინაშე“.

შეთასევეგრაა, რომ „აშხატავორის“ პირობით დაშნაკუტუნი იმეორებს—სომხის ხალხი მე ვართ.

უბედურება იქნებოდა სომხის ხალხისთვის რომ ეს მართალი იყოს! დაშნაკუტუნი გარდა რომ არავის ვხედავდით სომხის ხალხში, ჩვენ ხელს ჩავაქნევდით, მაგრამ ეს ასე არ არის. დაშნაკუტუნი მახინჯ სახესთან ჩვენ ვხედავთ სომხის ხალხის სახესაც.

ჩვენი სახით დაშნაკუტუნი არ ებრძვის გარეშე ძალა, რომელსაც განსაკუთრებული მიზანი ჰქონდეს დასახული. ჩვენი მონათესავე პარტიები თვით სომხის ერობი მუშაობენ, ებრძვიან დაშნაკუტუნი. დაშნაკუტუნი წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლა ამ პარტიებისთვის დახმარების აღმოჩენაა.

როგორი ღირსებისა დაშნაკუტუნი ბრძოლა, ჰყავს მას ჩვენში ვინმე მონათესავე? არავინ. აი აქ არის ჩვენს შორის ღრმა განსხვავება.

ეს კარგაა მოეხსენება დაშნაკუტუნი. კა-გათ იცის, რომ ეს გაუთხრის მას საფლავს და ამიტომ ეფარება ის საერთოდ სომხის ერს, რა თქმა უნდა, მაუზერით ხელში, ყალბი ხმებით და სხ.

საშეკაროზე კი ყველაფერი ეს საბუთად გამოაქვს, რომ სომხის ხალხი მას მისდევს და არწმუნებს თავის მიმდევრებს, რომ სამხრეთიდან ოსმალეთის შეტევა სომხეთზე და ჩრდილოეთიდან ქართული პრესის განგაში კლემანსოს დეპეშის გამო, ორივე სომხეთის საწინააღმდეგო შედეგაა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი „საბუთობს“ დაშნაკუტუნი ხელში!

საზრუნავთი სოციალისტური პარტია და საზოგადოებრივი ხელშეკრულება

15 ივლისს დაამთავრა თავისი მუშაობა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესმა, რომელიც უმთავრესად იმისთვის იყო შეკრებილი, რომ განეხილა საფრანგეთის სოციალისტების დამოკიდებულება საზოგადოებრივ უწყსოებისადმი. ეს კითხვა იყო მთავარი საგანი კონგრესის მუშაობისა.

დებატები დაიწყო ლადიეს სიტყვით, რომელმაც აღნიშნა, რომ თუკა საზოგადოებრივ უწყსოებაში არის პირობები, რომლებიც უნდა მივესალმოთ, როგორც მაგალითად ელზას ლორენის განთავისუფლება, მაგრამ რიცხვი მიუღებელი პირობების აღმატება მისაღებ პირობებს.

გრუმანმა, ზემო ელზასის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ვილსონის პრინციპებს და ამიტომ მიუღებელია. ხელშეკრულება არ იძლევა ზავის გარანტიას და ამიტომ მუშათა კლასი სთხოვს სოციალისტურ პარტიას არ მოახდინოს მისი რატოფიკაცია.

დღე. ბელუზი აკრიტიკებს ხელშეკრულების ეკონომიურ და ფინანსიურ პირობებს. ლონგეს მიმდევრები მას ხშირად აწყვეტინებენ სიტყვას და უსაყვედურებენ ზომიერებას, მაგრამ ის ათავებს სიტყვას წინადადებით, რომ სოციალისტებმა თავი უნდა შეიკავონ, როცა პარლამენტში ქნქის ყრა იქნება ხელშეკრულობის რატოფიკაციისა.

კენჭის ყრის დროს თავის შეკავებას მოითხოვს აგრეთვე ხემა. მისი აზრით მხოლოდ ხალხთა ღვაწი შეუძლია იხსნას ხალხი ომის უბედურებისაგან. მაგრამ ევროპა, რომ

გარდა როგორც არ უნდა იყოს განწყობილება კომისარიატსა და საბჭოს შორის, ქალაქის ხმოსნის, ნიკო თავდგირაძის გადასახლების, ქალაქის საბჭო სთვლის შემცდარ გაუგებრობათ და უშედეგოდ მოსალოდნელად წინაშე, რომ მისი განკარგულება გადასახლების შესახებ შეჩერებულ იქნას და ნ. თავდგირაძე მიეცეს საპარტალში. თუ კომისარიატი მის წერილებში ხედავს დანაშაულს.

სომხეთის დელეგატები. ამიერკავკასიის კონფერენციაზე დასასწრებლად სომხეთიდან ჩამოვიდნენ მამიკონიანი და ხაჩატურიანი. მოვილიან ვრაციანს.

თავდასხმა ფოსტაზე. 6 აგვისტოს მანკლისიდან ბეშტაშენში მიმავალ ფოსტას თავს დაესხნენ ყაჩაღები, რომელთაც გაძარცვეს ფოსტის მოხელე კვერკველია და ფოსტის გადამტანი. ფოსტისთვის ხელი არ უხლიათ.

დემოკრატიულ კლუბში შაბათს, 16 აგვისტოს იმართება საღამო რაქო-ლეჩხუმის საზღვარზე, დაბა კრებლოში, სახალხო სახლის ფონდის სასარგებლოდ.

სატარიფო პალატის სხდომა, რომელიც ხუთშაბათს არ შესდგა, შესდგება სამშაბათს საღამოს 6 საათზე.

გორის სადგურის მუშებში 156 მან. 40 კ. ყოროშინაძის მიერ შეკრებილი. რედაქციამ მიიღო რ. ჩხლადის ოჯახობის სასარგებლოდ.

კ ა მ ბ ა რ.

კვირას, 17 აგვისტოს შედგება პირველი კრება ქართულ პურზე მომუშავეთა და კანდიტურ-მეზღველების. (ყოფილი სასტუმრო „ბომონდის“ კავშირთა კავშირის ბინაზე).

კვირას, დღით 10 ს. ავღაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია ფორანტის დღის შემწყობი კომისიის სხდომა.

ლატას, მაგრამ ყველა მის მოწინააღმდეგედ არათუ არაფერი მოუვიდათ სამაგიერო. მუშათა კანტროლი! მაგრამ ის მისმა მომხრეებმა უკვე უარკვეს. ლენინმა დაჯგო ის. ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია სატარიფო პალატით, რადგანაც იქ ჩვენ ვხვდებით მთავრობას, რომელსაც ჩვენ მოწინააღმდეგედ ვერ ჩავთვლით. თუ ჩვენ მოვახერხებთ რეალური სამუშაო ქირის გაყენის შეჩერება—ეს იქნება დიდი მოპოება. აქ ითქვა, რომ პალატამ სწორედ არ მოუშაბა ჯამაგირებში, მაგრამ სად იყვნენ საპროფესიო კავშირები! რატომ აკამოგვცადლდით ჩვენ ჩვენი გამოანგარიშები?

მომხსენებელი ბოლო სიტყვაში ამბობს, რომ მას წარმოდგენილი არა აქვს სატარიფო პალატა, როგორც იდეალური რამ. მე ვამბობ მხოლოდ, რომ არსებულ სიტუაციაში და არსებულ ძალთა განწყობილებაში—ის აუცილებელი ვერაა. მუშათა კლასს უნდა გამოცდილება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და ი. სწავლობს ამას არა დეკრეტებზე, არამედ პრაქტიკული მუშაობით. მუშათა კანტროლის დიანა არ გამართლდა. მუშათა კანტროლმა დაანგრია დონის ქანახშირის ბასენი. ითქვა პარტიკულ პრინციპზე, მაგრამ ის საშიშოა მხოლოდ მასების უმოქმედობის დროს. რაც შეეხება კვალიფიკაციურ და არა-კვალიფიკაციურ კატეგორიებს, მალატა სცილიობს გამოთანასწოებელი პოლიტიკის წარმოებას, მაგრამ სრულ გათანასწოების მიღწევა შეუძლებელია. საბჭოთა რუსეთში ეს პოლიტიკა ვერ განხორციელდა. იქ კვალიფიკაციურ მუშებში (ტენნიკოსები, მემაქნენი და სხვ.) შავ მუშებზე მიდიოდნენ, რადგანაც ერთი ჯამაგირი იყო და იქ პასუხისმგებლობა ნაკლებ იყო. აშკარაა, რომ ამას შეუძლია მოპყვეს მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობის ერთ წერტილზე გაყინვა.

მაისონის ურონტი

ამ სათაურით ქუთათურ „სოც.-დემ.“ მოთავსებულია ამბ. პ. ია—ილის წერილი. მოგვყავს წერილის ზოგიერთი ადგილები: რაქის მშრომელი გლეხკაცობა ერთსულფენურათ და აღფრთოვანებულათ გამოეხმაურა სახალხო გვარდიის შტაბის მოწოდებას და იარაღით ხელში, სიმღერით გასწია მამისონისკენ. უწინარეს ყოვლისა ფეხზე დადგა რაქის შეიარაღებული დემოკრატია სახალხო გვარდიის სახით. როგორც ცნობა მიიღო გვარდიის შტაბმა—მაშინვე გაეშურნ ფრონტზე ონში მყოფი მუღვივი გვარდიელები, იმ იმედით, რომ მათ მალე მიეშველებოდნენ მზრის ყოველი კუთხიდან ამხანაგები, ყველაზე სწრაფათ ფრონტზე მივიდნენ გვარდიელები, რომლებსაც შეუერთდნენ სოფ. უწერის მოხალისენი.

მათ უწერლებთან ერთად ითამაშეს ვადაპირელი როლი სამხედრო ოპერაციის ჩვენთვის სასურველათ დათავებში. სანამ ქუთათიდან ძალა მოგვეშველებოდა რეგულიარული ჯარის სახით და რაქიდან კი მოხილავს ითი გამოწვეული გვარდიელები, მუღვივა გვარდიელებმა უწერლებთან ერთად მზრის კომისრის თანამშემწის პორ. ბაქაძის და გვარდიის აფიცრის ცხვედიანის ხელმძღვანელობით შესდგეს ისეთი მდგომარეობის დაკვირება, საიდანაც მტერს საშუალება მოუსპეს წინ წამოწვივსა.

მთავარი და გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე იყო სწორედ ამ მდგომარეობის დაკვირება, ვინაიდან ეს მთები მდებარეობენ უღელტეხილის მთების პირდაპირ.

როდესაც აქედან მამისონისკენ მიდიხართ, თქვენ ხედავთ ორ ერთმანეთის მოპირდაპირე მდგომარეობას: მარჯვნივ, რომელიც პირდაპირ უღელტეხილს აბია და ვაგარდებდა მისი, და მარცხნივ, რომელიც დაპირისპირებულია ამ უღელტეხილის მოსათან. ამ მთებს შუა მხოლოდ ერთი გზაა, რომელიც უღელტეხილამდე მივიყვანთ რომ მტერს მოესწრო ამ მარცხენა მდგომარეობის დაკვირება—აშკარაა ვერავითარი ძალა მას ვეღარ შეაჩერებდა სოფ. გლოლის ხილამდე მაგრამ ეს მთავარი პოზიცია დროზე იქნა დაკვირებული და მტერს ვასაქანი აღარ მიეცა.

ამ ხნის განმავლობაში გვარდიისა და ჯარის სახით საქაო ძალა შეიქმნა მტერზე იერიშის მისატანათ. საქირო იყო მხოლოდ ისეთი გვერდის შემუშავება, რომელიც მცირედ მხვერპლობა მამისონის უღელტეხილს ავღალებივბდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ძალები არ ყოფილა დაბანდებული მარტო მამისონის მიმართულებით. ჩვენი ძალები იდგა დების, ჭიორის და კვათის გადასვლაზე განსაკუთრებით მნიშვნელობა ჭიორის კვათის (სოფელი ოსებითა დასახლებული) გადასვალს. ე. წ. კაზიხოსს, რომელიც იქნა

გამაგრებული პირველათ აღვილობრივი ძალების შემწეობით და მერე კი ლენინის სახალხო გვარდიით. მთელი ძალების, როგორც გვარდიის, ისე ჯარის უფროსათ თვალგმორდა პოლკოვნიკი ინჟინერი, რომელსაც პირველი ავვისტოს შეტყვევების გეგმა შემუშავა. ეს გეგმა მდგომარეობდა შემდეგში: შემომვლელ (ოზხონდი) რაზმს უნდა აეზარა გვარდი ჩვენი მდგომარეობის, სადაც მთავარი პოზიცია იყო, გადაეკლო თავზე თოვლიან კლდეებში და გადასდგომოდა გვერდით თავზე პირდაპირ უღელტეხილზე მდგომ მტრის ძალას. ასტებდა სროლას მტრის შესაშინებლათ და დასათანებავა. ამ დროს მთაზე მდგომი გვარდიელები გადავიდოდნენ პირისპირ შეტყვევებზე და გაეშურებოდნენ უღელტეხილის დასაკავებლათ. გზაზე მდგომი არტილერია ზარბაზნს ამუშავებდა. ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო ერთ და იმავე დროს, რომ მტერს თავზარი დასცემოდა და დაბნეული უქან გაქცეულიყო. ეს გეგმა სავსებით იქნა სისრულეში მოყვანილი და კიდევაც მოგვცა სასურველი შედეგი.

საინტერესო სურათი იყო პირველ ავვისტოს, როცა პირველ საათზე შეტევა დაიწყო თუ არა არტილერია ამ მოქმედება, შეტევაზე გადასასვლელათ დაშაღებული გვარდიელები დაეშვენ მდგომარეობიდან.

ძნელია იმის კალმით აწერა, რასაც ამ შეტევის დროს იგრძნობდა ადამიანი. ყველაზე მეტი საფრთხე მათ მოელოდათ, ვინაიდან ისინი მიდიოდნენ პირისპირ შეტევაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, გვარდიელებმა გმირულათ გასწიეს. მათ წინ მიუძღოდნენ ღირსეული აფიცრები. გულის სიღრმეში ჩავვწყვიდებოდა გვარდიის აფიცრის შტ. კაპ. გურგენიძის და პორ. ბაქაძის სიტყვები, რომლითაც მათ მიმართეს გვარდიელებს შეტევაზე გადასვლისას. „აბა, გამოგყავით, არ შეშინდით, მტერს მალე დავამარცხებთ“. პირველათ გადაეშვენ თითონ. მე არ მინდა ვინმე ვაქო, მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი: ამ ბრძოლის ქარცეცხლში მხოლოდ ოთხ აფიცრს ვხედავდი, რომელნიც ყველაზე წინ მიდიოდნენ. სამი აფიცრი იყო იმ გვარდიელებთან, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ და ერთიც, მილიციის უფროსი, პორ. კერგულიძე, ინჟინერის შემომვლელ რაზმთან. უნდა აღინიშნოს, რომ ინჟინერის რაზმა თითქმის წარმოუდგენელი დამაბრკოლებელი პირობები გადალახა და თოვლიან მთებში მტერს შემოჰარა. სწორეთ დასაუფლებელი ისეთი პოლკოვნიკი, როგორც ინჟინერი, რომელიც თავის სამხედრო ნიჭით და დემოკრატიული ყოფა-ქცევით საერთო სიყვარულს და თანაგრძნობას იწვევს გვარდიასა და ჯარში. რაზმთან ერთათ მან თოვლიან კლდეებში მივიღე დამე გაათენა, ამით გვარდიელები გამხნევა და აუტანელი გაქვირებაც ატანია. გვარდიისა, არტილერიისა და ჯარის შეერთებულმა ძალამ მტერს თავზარი დასცა და უკუაქცია. ორი საათის განმავლობაში განუწყვეტელი სროლა იყო, მაგრამ ჩვენის მხრით ერთიც არ დაჭრილა. მტერს კი ექვსი მოუკლეს და 12 დაუჭრეს. ნაშუადღევს სამ საათზე უღელტეხილი სახალხო გვარდიამ შემომვლელ რაზმთან ერთად დაიკავა ტყვეთ მ ტყვე წამოიყვანა. საზღვრების დაკვირებისთანავე გვარდიის წინ აღარ წაუწყვიტა; თანახმად მთავრობის ბრძანებისა, ის სასაღვრზე შეჩერდა.

ოპერაციის დასრულების შემდეგ უღელტეხილზე დარჩა რეგულიარული ნაწილი.

მამისონის უღელტეხილზე მომდგარ საფრთხეს ბევრი სერიოზულ საფრთხეთ არა თვლიდა. იმასაც კი ამბობდნენ, რომ ოსების საქმეა ყველაფერი და დენიკინის ხელი ამაში არ ურევიაო. ახლა ყველაფერი გამოირკვა. ძალა, რომელმაც შემოგვიტია—ოსებისაგან შემდგარი იყო, მხოლოდ იარაღით დახმარება და ხელმძღვანელობა კი დენიკინს ეკუთნოდა. ეს ყოველ ექვს გარეშეა და ამას ამტკიცებს მათი დეკლარაცია, რომელიც ვითომდა მოსალაპარაკებლათ მამისონზე ამოვიდა. ამ დელეგაციას მეთაურობდა დენიკინის ხელქვეითი პოლკ. ხაბაევი. მათ მოითხოვეს ნეიტრალური ზონის აღდგენა, მაგრამ ჩვენთვის არავითარი რომელიც ჩვენ გვუკავია, მუღამ ჩვენ გვუკავა და ხაბაევის ჩვენმა დელეგატებმა შესაფერი პასუხი გასცეს.

ამით დასრულდა ოპერაცია. მაგრამ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ოპერაცია დასრულებულათ ჩითვალა? არა. ადვილი შესაძლებელია და მოსლოდნელიც, რომ ახალი უფრო დიდი ძალებით ჩვენ მოწამე ვახდეთ ახალი შემოტევისა. ამიტომ სიფრთხილე გვმართებს, რომ მზათ ვიყოთ ყველაფრით და მტერს არ მივსცეთ საშუალება ხელმეორეთ საზღვარი გადმოლახოს.

განსაკუთრებული მუშაობა მართებს ამ მხრით რაქის სახალხო გვარდიის შტაბს და, იმედია, ის ამ მხრით ყველაფერს გააკეთებს.

დასასრულ არ შემიძლია არაფერი წერა რომ რაქაში შექმნილა ნორჩმა სახალხო გვარდიამ დიდი ბრძოლის შემდეგ შეიქმნა და პირველი გამოცდა ბრძოლისა მრწყინვალეთ ჩააბარა. იმედია, ის თანდათან გაიზრდება როგორც რიცხვით, ისე წინეობრივი სიმაგრით, ბრძოლიში გამოიქვლება და შექმნის ისეთ ძალას, რომელიც საუკეთესო და რაჯი იქნება თავისუფლების დასაცავათ და შავი რეაქციის ძირშივე ჩასაკლავით.

მწამს, რომ რაქის სახალხო გვარდია სულ მოკლე დროში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ერთ საუკეთესო მებრძოლ ნაწილთაგანი შეიქნება და იარაღს ააზნაურებს რევოლუციის დასაცავათ და რეაქციის დასამარბავათ, არა მარტო თავის მარხის თარგლებში, არამედ—მთელი რესპუბლიკის საზღვრებში.

მუშათა შორის

რკინის გზის ადმინისტრაციის საყურადღებოთ.

ბათუმის დაცემის ერთი წლის შემდეგ ბათუმის ყოფილი რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი კვლავ დაუბრუნდა თავის ძველ ადგილს; ნაწილი კი ისტებია, რომელთაც არ უგემნიათ ბათუმის დაცემის უკანასკნელი დღეები. საერთო რიცხვი 700-დის იქნება. ყველა ესენი დიდს იმედებით მიდიოდნენ ბათუმში, რადგან იმ დროში იქ პირველი მოთხოვნილების საგნები შედარებით სხვა კუთხეებისა იათი იყო; მაგრამ გაიხსნა თუ არა წესიერი მატარებელთა მიმოსვლა ბაქო-ბათუმს შუა, სურსათი და სხვა პირველ მოთხოვნილებების საგნები საათობით ძვირდებოდა და ეხლა ყველაფერს საზღაპრო ფაქები აქვს; ხორცი გიოვანკა ოცდათუთხმეტ მანეთამდე ღირს, პური თორმეტ მანეთამდე და ასე სხვებიც. პურს ქალაქის თვითმართველობის ფურცლებში ხუთ მანეთათაც იძლევიან, მაგრამ ისეთი რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს საიშისო დრო არ აქვთ.

15 აპრილიდან საგრძნობი ნაწილი მოსამსახურეებისა დახურულ საქონლის ვაგონებში ცხოვრობენ. არ იცი ვის უსაყვედურო ამითი ასე დასჯა; როდესაც ჩვენი მოსამსახურეები და მათი ცოლშვილი ასე შევიწროებულა უბინობის გამო, ამ დროს ინგლისელების მიერ ჩვენთვის მიჩენილ ბინებში ფართეს ცხოვრობენ ალექსანდროვები და ძმანი მათნი, რომლებიც არც ინგლისელებთან მსახურობენ და არც ჩვენთან; ოდესაც უმსახურნიოთ ბათუმში. სადგურის უფროსი, ვისიც ვალდებულობს შეადგენს მოსამსახურეთათვის ზარუნვა, თავს არ იტყვევებს, რადგან თითონ მშვენიერ ბინაზე ცხოვრობს და როდის იყო, რომ მძღარს მშვიერი აგონდებოდა? კავშირის გამეგობა ახალ არჩეულია და ჯერ სხდომაზე არ გაუშაობათ, რომ ერთ გარკვეულ გზას დადგეს მოსამსახურეთათა ყოფის გასაუმჯობესებლათ. მთავარ გამეგობიდან და უმადლესი რკინის გზის ადმინისტრაციიდან ჩამოდიან ბათუმში ვითომდა საქმისათვის, პირველათ ბუღვარს ინახულებენ და შემდეგ სალონ ვაგონით ბრუნდებიან თბილისში დაიმედებულნი, რომ მოსამსახურეებს სული კიდევ უდგასო. როდესაც მოსამსახურეებმა წერილობით აცნობეს გზის უფროსს მათი გაქვირებული მდგომარეობა, გზის უფროსმა შეშლევო რეზოლიუცია დააწერა მუშების განცხადებაზე: „ბათუმის მუშების განცხადება არ არის მართალი. ისინი ხუდ მეტ გაქვირებას არ განიცდიან სხვა დანარჩენ მოსამსახურეებზეო“. კარგი იქნებოდა ბ. გზის უფროსს ბათუმში ყოფნის დროს დანეთვლიერებია მუშების საცხოვრებელს ვაგონები და მამინ დარწმუნდებოდა წინააღმდეგში. ჩვენი ადმინისტრაცია იმას იღებს მიზეზათ, ბინა ვერ ვიშოვნო. ამ დღეებში აქ ჩამოვიდა, აზერბეიჯანის რკინის გზის რწმუნებული ბ. შიშანსკი, რომელიც ქალაქში სადგურის სამსახურეებს ხსნის, რომ ტერტის გამგზავნულთაგან მიიღოს გადასახვად ვინ საქონიელი და შემდეგ ჩააბაროს გადასახვად ჩვენს რკინის გზას, ამით ჩვენს რკინის გზას საგრძნობი შემოსავალი მოაკლდება; აი ამ შიშანსკიმ ჩამოსვლის მეორე დღეს დააქირავა მშვენიერი სახლები თავის მოსამსახურეთათვის და ეხლა რამოდენიმე ჩვენთან მოსამსახურეებს წინადადება მისცა გადავიდეს სამსახურში მათთან. აბა რომელი ვიტი იქნება არ დაეთანხმოს შიშანსკის წინადადებას, რადგან ჯამაგირს უბრალო კანტორის მოხელეს ორას თუ მნამდე პირდება და ბინას. ამ რიგათ ჩვენ ამ დღეებში მოწმე ვახდებით რამოდენიმე

დაგუგანავალი პრეზის დაგასპიითი არჩევნები

(ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ცნობა). ახალგაზრდის მაზრის ზოგიერთ ადგილებში არჩევნების შედეგი ჯერ ჯერობით გამოურკვევლია. აწყურის საზ-ში. № 1 მიიღო 2207 ხმა 2—17, 3—4, 4—1, 5—215, 7—2, 8—361. უღუბეთის საზ-ში. № 1 მიიღო 1766 ხმა, 3—9, 4—124, 5—3, 8—201. კლდის საზ-ში № 1 მიიღო 1762 ხმა, 5—24 8—132. ვარხანის საზ-ში, № 1 მიიღო 2977 ხმა, 8—62. ახალციხეში № 1 მიიღო 334 ხმა, 4—200, 8—39.

ხაზსურათში. დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები დამთავრდა. № 1 მიიღო 594 № 2—1, № 5—30. № 8—2108.

სატარიფო პალატა, მისი მუშაობა და გნიშვნალობა

(დასასრული)

მანდელშტამის მოხსენების შემდეგ გამართა კამათი.

ილია. ამბობს, რომ სატარიფო პალატა არა თუ არ ვახდებდა ხელმძღვანელ ცენტრალ, არამედ მან ეხლავე შეიტანა დემორგანიზაცია მუშებში: მაკაო რა იქნა კვალიფიკაციურ და არა კვალიფიკაციურ კატეგორიებზე. საცა წარდგენილია შრომა და კაპიტალი, ის ორგანო ვერას ვახდებდა მწარმოებლებთან ერთად სუკულიაციას ვერ შეგმურავთ. მუშათა ინდიფერენტობაში საუკეთესო მაჩვენებელია სატარიფო პალატის უვარგისობისა მის ეხლანდელ სახით.

ფოფხაძე. სატარიფო პალატა ახალი მოვლენაა და მას შეცდომებიც ექნება ეს ჩვენ იმას გვეუბნება, რომ მეტად უნდა დავეხმაროთ მას და უფრო დიდი ყურადღება მივაქციოთ, რომ საქმე გამოსწორდეს და შეცდომები აღარ იყოს. პალატა შეიძლება ვახდეს კლასიური ბრძოლის უმაღლეს ფორმად. პალატაში წარდგენილია ორი მხარე პირისპირ. იქ მუშათა კლასი მიიღებს პრაქტიკის სახელმწიფოებრივი შემოქმედებისას.

სულუკი. მართალი არ არის ის, როცა აღნიშნავენ პალატის „შერეულობას“, რადგანაც ბოლოს და ბოლოს პალატის მუშაობის ხასიათი განისაზღვრება არა მის ამა თუ იმ შეზღუდვებით, არამედ ქვეყნის საზოგადოებრივ ძალებისა და მიხედვით. ორატორი ეთანხმება მომხსენებელს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სატარიფო პალატის მუშათა კლასისათვის და აღნიშნავს ზოგიერთ დეფექტებს.

იგნატოვი ამბობს, რომ სატარიფო პალატას უფრო მეტი მინუსები აქვს, ვიდრე პლიუსები. მისი მოღვაწეობა საზარალოა პარლემენტარიატის კლასიურ თვითშეგნებისათვის. ბახტაძე: აქ აკრიტიკებდენ სატარიფო პა-

ენერჯიული მუშაკის დაკარგვისა, სხვა რომ არ იყოს რა, ჩვენს ადმინისტრაციას ამისთვის მიანიჭებენ მუშაკი უნდა მიეჭიკა ყურადღება.

ბათუმის მუშა-მოსამსახურეები ხედავენ, რომ თვლიან და სხვა სადგურებში მათი თანამოძიენი რვა მანეთით მშენებრათ სადილობენ; თანს და წვერს სამ მანეთით იპარსვენ, მაშინ, როდესაც ბათუმის სადგურში მებუფეტემ სრულიათ აღკვეთა სადილის კეთება და როცა აკეთებდა, სავარგისი არც მაშინ იყო. სადგურის დალაქი კი ათ მანეთს ახდევინებს მოსამსახურეებს თმის და წვერის გაპარსვანი. გამკითხავი არავინ არის, რომ ამათ წინააღმდეგ ზომები მიიღოს, რათა ასენი დაუმორჩილო ჩვენს რკინის გზაზე არსებულ წესებს. ყველა ამას ხედავს რკინის გზის მოსამსახურენი, ვინც ჩვენი რესპუბლიკის ერთგული და და გამოსადეგია ითმენს, ითმენს, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს, ხოლო სულით მდებალმა მოსამსახურეებმა მიჰყვეს ხელი მექრთამეობას და ქურდობას და ლამის არის მათმა საქციელმა მთელი ბათუმი ააღაპარაკოს. ბათუმის სადგურის დღიური შემოსავალი 250—300 ათას მან. აღის. ეს თანხა არც ისე ცოტაა, რომ ცოტათი მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება საძნელო იყოს, თორემ ბევრ საუკეთესო მოსამსახურეებს ფრთები აწყობილი აქვთ გასაქცევათ. ბათუმის მუშა მოსამსახურეებს მეტი ყურადღების მიქცევა უნდა, თორემ მათ ისეთი მიდრეკილება ეჩნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს მიდრეკილება ნამეტარ უხეშ სახეს მიიღებს და ნაკვალად ჩვენი გავლენის განმტკიცებისა ბათუმში, წინააღმდეგს მივიღებს.

ს.-დ. პარტიული

თვლილი. 6 აგვისტოს შესდგა ს. ს. დ. მუშათა პარ. პირველ რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. პირველათ კრება ისმენს მოხსენებებს ადგილებიდან: ამხ. ძნელაძე (რკინის გზ. მთავარ სახელმწიფოს წარმომადგენელი). პარტიული მუშაობა სუსტად მიმდინარეობს. მუშებს ხელმძღვანელ ორგანიზაციებისადმი უნდობლობა ეჩნება.

ამხ. გორგაძე (საქონლის და სახალხო სადგურების წარმომადგენელი). მუშებში მაქსიმალისტური სულიერი განწყობილებაა. რკინის გზის სახალხო გვარდიის მუშების თავმჯდომარის მელ. არველაძეს მიერ ჩადენილი ბოროტ მოქმედება მუშებზე ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ლექციებს მსმენელები ბლომათ ეწევიან. შინაარსიანი ლექციები მუშებზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. საქონლის კითხვა და შესაფერ სიმბოლზე დაყენება. ამ უმაღლეს აქეთენ უნდა იქნეს მიქცეული ხელმძღვანელ ორგანიზაციების მთელი ყურადღება. ქვე-კოლექტივის სხდომები რეგულარულათ ხდება. მეორე კითხვათ კრება არჩებს ნაძალადევის სამკითხველს გამგის ფედოროვის ქალის ადგილიდან დათხოვნას. გამოაქვს შემდეგი დადგენილება: „კოლექტივი ავალბს მთავარ სახელმწიფოს და დეპოს, საქონლის და სახალხო სადგურების რაიონულ პროფესიონალურ კავშირების ს.-დ. ფრაქციებს მოითხოვონ კავშირების გამგეობიდან გამოძიების დანიშნა ნაძალადევის საქითხველს გამგეს ფედოროვის ქალის დათხოვნის შესახებ გამოძიების დასრულებამდე კი ფრაქციებმა უნდა მიიღონ საჩქარო ზომები, რათა ფედოროვის ქალი დატოვებულ იქნეს თავის ადგილზე. ამასთანვე კოლექტივი მიამტყვევს ფრაქციების ყურადღებას, რომ კავშირის ყოველგვარი დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი უნდა იყოს კოლექტივური და არავითარ შემთხვევაში ინდივიდუალური ხასიათისა.“

მესამე კითხვათ ირჩევა ქალთა წრის განცხადება, რომელშიაც ქალთა წრე გამოსთქვამს საყვედურს „ფრონტის დღის“ მომწყობ ნაძალადევის კომისიისადმი. ქალთა წრეს გამოუყვია თავის შემადგენლობიდან რამოდენიმე წევრი „ფრონტის დღისთვის“ საქონლისა და მუშაკის შესარულებათ. მათ წინასწარი სამუშაო დავალებანი სინდისიერათ შეუსრულეებით, მაგრამ როდესაც ისინი გამოცხადებულან დღესასწაულის დანიშნულ დღეს, ივლისის 19—20-ს, მათ ადგილებზე კომისიის სხვები დაუნიშნავსო. ამსაკითხის შესახებ კრება ადგენს, რომ კოლექტივის განკარგულებაში მყოფი კომისიები უნდა მუშაობდნენ კოლექტივის დირექტივების თანახმად. კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ აქტიური მომუშავე აზნაგებმა, როდესაც ქალაქიდან გასვლა სურთ, შეატყობინონ ამის შესახებ კოლექტივის მდივანს. დანარჩენი კითხვები გადაიღო შემდეგი კრებისთვის.

თვლილი. ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის მიერ, 13 აგვისტოს, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში გაიხსნა პარტიული სკოლა, სადაც შეერთდა ავღარის რაიონის მუშათა წრეები და დაიწყო მეკადნიერება მარქსისტული მოძღვრების შესასწავლად. ჯერ-ჯერობით პარტიულ სკოლაში მეკადნიერობს ამხ. აკ. ტყემალაძე. კოლექტივის გადაწყვეტილი აქვს მოიწვიოს დამხმარე ინტელიგენტური ძალები და დაჰყოს მუშათა წრეები საშუალო და პირველ ჯგუფებად.

პროვინცია

როგორ მივხვდეთ? *) ბ-ნო რედაქტორო თუ მოსახერხებელათ სცნოთ დამიბეჭდეთ. უნდა მოვახსენო მკითხველო, რომ მე სოფელ კავთისხევში ვცხოვრობ და მეურნეობას ვეწევი და აი რა პირობებში მიხედება მუშაობა. ბევრს არ გვაგაძელებ, მხოლოთ ფაქტებს მოგივლით.

გაზაფხული, 1918 წ. 1) გავითბე ბალახი, თივა მომპარეს. ქურდს მივაგენი, კომისარს ვამოუცხადე. უყურადღებოთ დარჩა ჩემი თხოვნა. 2) ყურძენი დამიბეჭდეთ, ქურდები შემომეპარნენ, დავიჭირე, კომისარს მივმართე ესეც უყურადღებო დარჩა. 3) გამიკრიფეს 40 ძირი კომში აღარ გამოვაცხადე თუც ვიცი დი ვინც მომპარა. 4) ბოსტანში ბლომათ მქონდა სტაფილო და ქარხალი, ბეჭ-ბუჭები სტაფილოს მიადგენ, ლორები ქარხალს სტაფილო როგორც იყო ამოვიღე თუც ბლომათ მომპარეს ქარხლის კი ვერ მოვასწარი ამოღება დიდი უამინდობა იყო და სულ ერთიანათ ლორებმა შემეპაემეს, შევქმული ქარხალი იქნება დაახლოვებით 500 ფუთი რაც შარშანდელი ფასების კვალობაზე ღირდა ექვსი ათასი მანეთი. უკანასკნელი ათჯერ მიანიც გამოუცხადე კომისარს და ვთხოვე ოქმი შეეყენებინა, მაგრამ ამაო იყო ჩემი თხოვნა. ასე და ამ გვარად მთელი წლის შრომამ ტყუულათ ჩამიარა და ზარალიც საგრძნობელი იყო.

1919 წელი. 1) გავითბე ბალახი, მომპარეს თივა; არავისთვის გამომიცხადებია, ქურდს მივაგენ. 2) ჩემი ბალის გვერდით ჩემ მეზობელს სატაქური უდვია. ქურდი დავიჭირე რომ სთხრიდა, რადვანაც ჩემი სტუმარიც არის ხოლმე. კომისარს ვაცნობე, ბარათიც მივწერე არაფერი გამივიდა. 3) სათელეთ დავრგე სტაფილო ამოიღეს მიწიდან შემეპაემეს ქურდები ვერ დავიჭირე. 4) ნიორი მქონდა ბლომათ დარგული. გამოვლიჯეს. ვერც ეხლა გავიგე ვინ მომპარა ან რომ გამეგო კიდეც რაში მოვიხმარდი? მე მიანიც ჩემსას არ ვიშლი, ვშორობ და ვმეურნეობ. ეხლა ხეხილსაც მისხია ვახსაც და აგრეთვე ბოსტანიც კარგა მოხდილი გავაკეთე, სადაც ქარხალიც ბევრია და სტაფილოც და სრულიათ დარწმუნებული ვარ, რომ თავის დროზე ყველა ამას სოფლის ქურდბაიციები დაუწყებენ ზიდვას. მეც რასაკვირველია ყოველთვის თუ არა ხანდიხან მიანიც დავიჭირ ქურდებს გაუგზავნი კომისარს და ვიცი რომ ჩემი ცდა უნაყოფოთ დარჩება.

აღარ ვიცი რა გქნა და ან ვის მივმართო და თუ არაფერი სახელდება გამოყენებ სწორეთ რა ვაქაუაუა ცოკურბა. სოფელი ხოც მოვახსენეთ, სადაც ეს ხდება იმასაც გეტყვი, რომ კამისარს ქვიან ანბანიაგი თუ სესიკელაშვილი მხოლოთ ამის დამწერს კი გიორგი ჩივაძე.

იშკის (გარე-კახეთი) თემის გამგეობის მიერ მოწყობილმა ფრონტის დღემ დიდებულათ ჩაიარა. ხაშელმა ქალებმა ოთხი ჯგუფის მეოხებით შემოიარეს სოფ. ხაშში და ხალხს უხსნიდნენ ფრონტის დღის მნიშვნელობას, აგროვებდნენ შემოწირულებას, სწერდნენ შემომწირველთა სახელსა და გვარს. ქალები მორთულები იყვნენ, ხელში ეჭირათ ზოგჯერ მანდალინა, ზოგს გიტარა, ზოგს ყვავილები, ზოგი შინაურ დაბეჭდილ ნიშებს აკრავდნენ ნესებით შემწირველებს გულზე და ზოგნიც რვეულებში სწერდნენ მათ გვარს და სახელს. შუადღემდ სოფ. ხაშში მოაგროვეს ას თემნამდე. შუადღის შემდეგ ყვავილებით მორთულ ურმით გაემგზავრნენ ლხინით მეზობელ სოფელ პატარძელში, საღამოთი დაბრუნდნენ პატარძელიდან და გამართეს ლხინი. მეთაურ ქალებმა კი შეგროვილი ფული და დოკუმენტები წარუდგინეს თემის ხაზინადარს გადასაცემათ სადაც ჯერ არს. მონაწილეობას იღებდენ ქალები, სახელდობრ თემის ხმოსანი ანა ლაზარ. ქაქრაშვილი და სხვა ქალები მამაკაცებთან უცვლელად. რედ.

ნო გ. ქოქრაშვილი, თამარა ყირმელაშვილი, სალომე ალ. მურადაშვილი, ტასო ხაბაზიშვილი, ნინო ხაბაზიშვილი, ქეთო ლალიძე, თამარა გეომანოზაშვილი, ბარბარე ბუმბილაშვილი, თამარა თევდორაშვილი, მარუსა ქუუუშვილი და ბავშვები თამარა ბაქრაძე, ლუბა ქიაბერაშვილი, თამარა მამულაშვილი. შემოსენებული ქალები ბავშვებს გარდა აწყობენ თემის ხელმძღვანელობით საფეიქრო სკოლასაც. შეგროვილი ფული წმინდა შემოსავალი ას ოცდა სამი თუმანი შვიდი მანეთი და სამი შაური (1237 მან. და 15 კ.) გადაეცა რედაქციას. ივრის თემის გამგე.

ს. სარტიხალაში ფრონტის დღესასწაულის დროს შეაგროვა დავალებულმა ხმოსანმა თედო გურგენიძემ მარგალიტა ურდუელაძის დახმარებით თექვსმეტი თუმანი და ექვსი მან. (166 მან.) გადაეცეს „ერთობის“ რედაქციას გადასაცემათ ფრონტის სასარგებლოთ *). აშან. მონდობილობით ივრის თემის გამგეობის წევრი ვანო მისურაძე.

ნარ. რადაქციის მიმართ

„ერთობის“ № 179 ახალ ამბავში მე მდებდნენ ბრალს ქმარის დაჭრაში. გასჭრა ჩემმა სიმართლემ და გამომიბეჭდეს გამამართლა. ამიტომ მოგმართავთ, რომ ვამცნო საზოგადოებას, რათა მოხსნან ეს მძიმე დანაშაული როგორც მართალს და უდანაშაულოს.

ნატალია მღვდელაძე. რვენი ფოსტა ცეხი. ექიმ ნ. რუხაძეს. იმ საკითხზე უკვე იყო წერილი დაბეჭდილი. *) ფული რედაქციამ მიიღო სადაც ჯერ არს გადასაცემად. რედ.

განცხადებანი

11 აგვისტოს ღაქკარგე

პირველი რაიონის მიერ მოცემული პარტიული წიგნაკი № 2772 პირადობის მოწმობა, მე-4 პოლიკანდ მოცემული ნამსახურობის მოწმობა და 250 მ. ფული. ვთხოვ მპოვნელს ფული დაიტოვოს და მოწმობები გამოიგზავნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწმობებს გაუქმებულად ვაცხადებ. მისამართი: თფილისის სადგური, საბარგო განყოფილებაში ევტინი კოსტას ძე პაიჭაძეს.

ბორჯომში პროფ. დოქტ. მედიცინისა მ. პ. მოსეშვილი იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральные воды).

დოქტორი მ. გოლდშაინი ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშვილის მთავარი გოსპიტალისა და ენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ქალაქის შრომის ბირჟის სახალხო კინო-თეატრი (მადათოვას ქ., ბარიატინსკის ქუჩის კუთხე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

შაბათი, 16 აგვისტო. თვლილის საზოგადო ხორო. ღიღი კონსერტი

პროგრამა: 1) „ლეგენდა“—მუსიკა ჩაიკოვსკისა, შესარულებს საოვერო ხორო, 2) ტორეადორის არია, ოპ. „კარმენიდან“—შეასრ. მსახ. ქურობული ხ როსთან ერთად, 3) „კარობლუშკა“, რუსული სიმღერა—შეასრ. მსახ. ცინკო ხოროსთან ერთად, 4) „ისტერნაციონალი“—სახალხო პიანი—შეასრ. ხორო, 5) „კატოლელების სიმღერა“, მუსიკა გატველდისა, შეასრ. ქურობული ხოროსთან ერთად, 6) მალაროსიული სიმღერებს შეასრულებს ხორო, 7) გლენბო ხორო—ოპ. „ევენინი ონგინიდან“—როიალთან ა. ა. ცენოპკი. კონცერტის შემდეგ ეკონსერტანტებენ ცნობილ დოამას „მზე სიყვარულისა“, დრ. პ ნაუ, გაოსისონის და ევა ტომსონის მონაწილეობით. კონცერტის დასაწყისი ხალ. რვა ნახ. საათზე. ადგილების ფასი 4—14 მან. კვირა, 17 აგვისტო. დ. დი საბავშვო დღესასწაული—მ. სუნდუქიანის ხელმძღვანელობით. ცეკვა, საკონცერტო განყოფილება, თამაში, საბავშვო სინემატოგრაფი შემდეგი პროგრამით: სამეცნიერო სანახავი და კომიკური. დღესასწაულის დასაწყისი საღამოს ხუთ ნახ. საათ. დასასრული 9 საათზე. შესასვლელი ფასი ბავშვებისათვის 3 მან. საღამოს ეკონსერტ „სიყვარულის მზე“, დასასრულ სანახავი და კომიკური. დასაწყისი ცხობა მეოთხედ საათზე. შესასვლელი 4—7 მანეთამდე, თუ ცუდი ამინდი დაიქობა კონცერტი და სეირანობა გადაიდება სხვა დროისათვის.

დამოუკიდებელი კლავი „მუშაილი“ შაბათს, 16 აგვისტოს რაქა-ლენჩხუშის საზღვარზე დ. კრებალაში სახალხო სახლის დაარსების ფონდის სასარგებლოთ გაიმართება

ღიღი სალიტერატურო საღამო

შემდეგი პროგრამით: 1) ლექცია „სახალხო სახლის მნიშვნელობაზე“—წაიკითხავს საქართველოს დამფ. კრების წევრი კირილე ნინიძე. 2) ფოსტა ტელეგრაფის სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება მხიარული ვოდვილი 1 მოქ. „ტიმოთეს ლედი“ გრიშაშვილისა, 3) კონცერტი—სხვადასხვა სიმღერებს შეასრულებს ფოსტა-ტელეგრაფის მომღერალ მგალობელთა გუნდი ჩ. ქურთიშვილის ლიტერატურით, 4) სალიტერატურო განყოფილება, დივერტისმენტი, სცენები, მინიატურა და სხვ. ბოლოს გაიმართება ცეკვა, ვაშაში, აუტკიონი, დაუკრავს საზანდარი და სხ. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ბილეთები იყიდება ამავე კლავში 5—8 საათამდე. საღამოს ორგანიზატორი სეფ. ლეკვიშვილი და ლამ. ცხველიანი.

ექიმი მ. ვ. მგალობალიშვილი ქალისა და სადონტატურო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 177 გიორგისა და დედის ქუჩაზე № 33

ექიმი მ. ა. შაჰარანი სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (სეზუალური) „606“ და „914“ ვინერული (ტრიპერი) და საშარდე ორგანიზების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი ა. ლ. კაქაშელი მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბუბო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვირის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი ნიკოლოზ მგაბაძე მახვილხაძე იღებს სპეციალურად—მალარიით (ციგებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ვ. მგაბაძე იღებს შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა ჯს-სხივებით, დიდი სალფიოდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღირბებს უფასოთ-ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სიღა, მის 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. თ. ტაყაშვილის მიღებანი: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხილოვის საავთმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი მ. ვ. შიშელა-საგაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი მ. მ. ჯაშარძემ ლებულაშ შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.